02/03/2026

MES 0 26 0000251667

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქალაქი თბილისი, 16/02/2026
სხდომის დაწყების დრო: 12:00 საათი
დასრულების დრო: 13:31 საათი
საბჭოს თავმჯდომარე: სერგო ჭელიძე (I, II, III საკითხები)
სხდომის თავმდჯომარე: ლევან მიდოდაშვილი (IV საკითხი)
საბჭოს მდივანი: დავით ლეშკაშელი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის, გამოყენებით **2026 წლის 16 თებერვალს**.
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

1. სერგო ჭელიძე - შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;
2. დავით ლეშკაშელი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
3. მამუკა ხუსკივაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
4. მიხეილ გურგენიძე - შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოშიასისტენტ-პროფესორი;
5. ლევან მიდოდაშვილი - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელმძღვანელი, პროფესორი;
6. კონსტანტინე სირბილაძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
7. რიმა ბერიაშვილი - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური განვითარების და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსი, პათოლოგიური ანატომიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
8. ნინო ჩინჩალაძე - ა(ა)იპ - ფონდის საერთაშორისო განათლების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი;

9. ნათია ზედგინიძე - ჯიშკარიანი - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი;
10. ივანე ჯაგოდნიშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
11. სალომე კუჭუხიძე - შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლისა და სახელმწიფო მმართველობის სკოლის დეკანი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) წარმომადგენლები:

1. **გიორგი ირემაშვილი -** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
2. **ქეთევან ინანაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

- მაკა ბერიძე - პროფესორი, ყოფილი რექტორი;
- ვახტანგ თაქთაქიძე - რექტორი;
- ნინო მილაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- გიორგი ბუცხრიკიძე - ადმინისტრაციის უფროსი;
- ნიკოლოზ ახალკაცი - რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში.

სსიპ - შოთა მესხიას სახელობის უგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი

- თეონა ხუფენია - რექტორი;
- ზაალ ქორთუა - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;
- ქეთევან ლატარია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.

სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

- ნინო ბაქრაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- გიორგი ზაქარაია - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;
- სოფიო ხაჭაპურიძე - საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

- ვახტანგ წივწივაძე - კანცლერი;
- კახაბერ კორძაია - რექტორი;
- ნინო ჭალაგანიძე - კანცლერის მრჩეველი;
- მარინა გედევანიშვილი - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- თამარ ინასარიძე - აკადემიური პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
- სესილი გოგიბერიძე - სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსი;
- ნინო მინდიაშვილი - დოქტორანტურის სამსახურის უფროსი;
- სვეტლანა კირაკოსიანი - საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი;
- მარინე ხიზანიშვილი - ციფრული სერვისების განვითარების სამსახურის უფროსი;

- თამარ ჯალაღანია - პერსონალის მართვის სამსახურის უფროსი;
- ანანო წივწივაძე - საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი;
- ფიქრია კაპანაძე - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
- შორენა ქურდაძე - სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):

- ვაიდოთას ვილიუნას (Vaidotas Viliūnas)(I საკითხი);
- ეკატერინე ფიფია (I საკითხი);
- დიანა მჭედლიშვილი (I/III საკითხი);
- ლევან ციცქიშვილი (I საკითხი);
- ეკატერინე ნაცვლიშვილი (I საკითხი);
- ნინო ფარსადანიშვილი (I საკითხი);
- გიორგი მერაბიშვილი (I საკითხი);
- ეკა ლეკაშვილი (თავმჯდომარე) (II საკითხი);
- გაგა გვენეტაძე (II საკითხი);
- თამარ თხელიძე (II საკითხი);
- ეკატერინე ბაკარაძე (III საკითხი);
- ჯოვანა აბლოთია (III საკითხი);
- ვასილ კიკუტაძე (IV საკითხი);
- ანა გვრიტიშვილი (IV საკითხი);
- ქეთევან კანკავა (IV საკითხი).

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 10:00 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ I, II და III საკითხებს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ სერგო ჭელიძემ, ხოლო IV საკითხს, საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით არჩეულმა წევრმა - ლევან მიდოდაშვილმა.
სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების, მათ შორის საბჭოს მოწვეული წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:
1. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - შოთა მესხიას სახელობის უგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ ავტორიზაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის საკითხის გ ა ნ ხ ი ლ ვ ა ;
3. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მიმართ ავტორიზაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის საკითხის

გ ა ნ ხ ი ლ ვ ა ;
4. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიმართ ავტორიზაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - შოთა მესხიას სახელობის უგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ ავტორიზაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის საკითხის გ ა ნ ხ ი ლ ვ ა ;
3. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მიმართ ავტორიზაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის საკითხის განხილვა;
4. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიმართ ავტორიზაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის საკითხის განხილვა.

პირველი საკითხი: სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
- **არა**

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
- **კი**

თვითაცილების შესახებ განაცხადა ლევან მიდოდაშვილმა. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საკითხის ზეპირი მოსმენა:

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახ ილველ საკითხთან
მიმართებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმდჯომარემ, ვაიდოთას ვილიუნასმა დამსწრეებს გააცნო განხორციელებული შეფასების გარემოებები და გაცემული რეკომენდაციები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შ ეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ, სერგო ჭელიძემ იკითხა თუ რა გახდა „რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა აამაღლოს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ცნობიერება აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების შესახებ“ რეკომენდაციის გაცემის საფუძველი. ავტორიზაციის ექსპერტმა, დიანა მჭედლიშვილმა უპასუხა, რომ აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ დოკუმენტი რეალურად არსებობს და დაწესებულება აცხადებს, რომ ამ მიმართულებით ტარდება ტრენინგები და ვრცელდება ინფორმაცია, თუმცა ინტერვიუების დროს სტუდენტებში ვერ გამოიკვეთა ამ საკითხის შესახებ დეტალური ინფორმირებულობა. სტუდენტებს ჰქონდათ ამ მექანიზმის საჭიროების აღქმის ნაკლებობა და თვლიდნენ, რომ უნივერსიტეტში აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხს განვითარება არ სჭირდება და უზრუნველყოფილია, მათ შორის, საგამოცდო ცენტრის საქმიანობით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

მაკა ბერიძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. შეხვედრები იყო ღია და პოზიტიური. უნივერსიტეტს ქონდა შესაძლებლობა წარმოეჩინა თავისი საჭიროებები. უნივერსიტეტმა შეასრულა წინა ავტორიზაციისას განსაზღვრული ყველა რეკომენდაცია. „რეკომენდებულია, უნივერსიტეტის მისია უკეთ იყოს სტრუქტურირებული და უფრო ფართოდ და მკაფიოდ იყოს დაკავშირებული ეროვნულ და ევროპულ უმაღლესი განათლების მიზნებთან“ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს თავის მისიაში სურდა დაეფიქსირებინა თავისი უნიკალური და განსხვავებული როლი ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში და უნივერსიტეტი მოერიდა მისიაში ისეთი ზოგადების ფრაზების გამოყენებას, რომლებიც გაიმეორებდა ეროვნული და ევროპული განათლების მიზნებს. ამჟამინდელი მისია არ არის წინააღმდეგობაში აღნიშნულ მიზნებთან. მიმდინარე რეფორმის ფარგლებში უნივერსიტეტს კიდევ ერთხელ მოუწევს მისიის გადახედვა და ამ რეკომენდაციის გათვალისწინება შესაძლებლობების ფარგლებში. ანგარიშებთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე აღნიშნა, რომ საუნივერსიტეტო საზოგადოების წარმომადგენლობითი ორგანოები წლის განმავლობაში ეცნობიან რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშებს. აკადემიური საბჭოს დადგენილებით იქმნება სპეციალური ჯგუფი, რომელიც აფასებს სტრატეგიული გეგმის მიღწევას და გამორიცხავს სუბიექტურ მიდგომას. ამ შეფასების ფარგლებში, კოდირების თვალსაზრისით, გათვალისწინებულია შესრულების ყველა დონე (სრული, მეტწილი, ნაწილობრივი და შეუსრულებელი). იგივე კოდირების პრინციპით ხდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ანგარიშის ანალიზი. რექტორის ანგარიში უფრო ზოგადი სახის არის, ვიდრე სტრატეგიული გეგმის მიღწევის ანალიზი, თუმცა უნივერსიტეტი გაითვალისწინებს რეკომენდაციას და უფრო მეტ კრიტიკულობას შემატებს ანგარიშებს. კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია გადაიხედება. უნივერსიტეტი იზიარებს პოზიციას აკადემიური კეთილსინდისიერების მარეგულირებელ დოკუმენტებში ხელოვნური ინტელექტის მაღალი გავლენის შესახებ ყურადღების გამახვილების საჭიროებაზე. ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებული კეთილსინდისიერების საკითხი დაემატება მარეგულირებელ დოკუმენტს. ამჟამად მიმდინარეობს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ორი პროექტი და უკვე ჩატარდა სამი შეხვედრა, რომელთა ძირითადი აქცენტი სწორედ ხელოვნურ ინტელექტს უკავშირდებოდა. მართვის პოლიტიკასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ამჟამად პოლიტიკა გადმოტანილია კანონიდან და უმაღლესი განათლების შესახებ ახალი კანონის ამოქმედების შემდეგ უნივერსიტეტი ადაპტირდება ახალ მოცემულობებთან. ნახევარ მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა ლაბორატორიების აღჭურვაში და შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტს გარკვეულწილად უნიკალური ლაბორატორიებიც აქვს, მაგალითად - ვეტერინარიული ლაბორატორია. ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ „ჰორაიზონ

ევროპის" პროექტის ფარგლებში უნივერსიტეტს 0.05 ქულა დააკლდა გამარჯვებამდე. მისი თქმით, კვლევითი პროექტების მიმართულებით უნივერსიტეტი ლიდერია რეგიონში. უნივერსიტეტის რექტორმა, ვახტანგ თაქთაქიძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და ასევე, ყოფილ რექტორს გაწეული შრომისთვის. ხაზი გაუსვა უნივერსიტეტის მზაობას შეასრულოს გაცემული რეკომენდაციები და ისინი აქციოს ერთგვარ მარეგულირებელ დოკუმენტად. უნივერსიტეტს აქვს ავტორიზაციის პროცესის მიმართ დადებითი მოლოდინი, რასაც ამყარებს შეფასებითი გარემოებები, რომ კომპონენტები არ არის შეფასებული ნაწილობრივ შესაბამისად ან შეუსაბამოდ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 12:40 საათი.
დასრულების დრო: 12:44 საათი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის 6 წლის ვადით ავტორიზაციის მინიჭების, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 2 400-ით (ქალაქ ახალციხის მისამართზე - 2100-ით, ხოლო ქალაქ ახალქალაქის მისამართზე - 300-ით) განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, 32^7 მუხლის პირველი პუნქტის, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 56^3 მუხ ლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე - 5 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს (ს/კ: 424066977) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი), ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2400-ით (ქალაქ ახალციხის მისამართზე - 2100-ით, ხოლო ქალაქ ახალქალაქის მისამართზე - 300-ით).

დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტის მისია უკეთ იყოს სტრუქტურირებული და უფრო ფართოდ და მკაფიოდ იყოს დაკავშირებული ეროვნულ და ევროპულ უმაღლესი განათლების მიზნებთან.
- რეკომენდებულია, განხორციელდეს ძირითადი დაგეგმვის დოკუმენტების (7 წლიანი განვითარების სტრატეგია, 3 წლიანი სამოქმედო გეგმა, წლიური გეგმა) სისტემატიზაცია და რექტორის და ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელის წლიურ ანგარიშებთან დაკავშირება შესაბამისი კოდირების სისტემის მეშვეობით, რომ გამარტივდეს მათზე წვდომა და განისაზღვროს პირადი პასუხისმგებლობა.

- რეკომენდებულია, რექტორის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წლიური ანგარიშების კონცეფცია და ფორმატი შეესაბამებოდეს ყველა დონის ინსტიტუციური გეგმის (სტრატეგიული, სამოქმედო და წლიური გეგმები) სტრუქტურას და მოიცავდეს უფრო მეტ ანალიტიკურ და მნიშვნელოვან ინფორმაციას. შესაბამისად, რეკომენდებულია, განახლდეს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და სხვა დაკავშირებული დოკუმენტაცია. რეკომენდებულია, ეტაპობრივად განახლდეს ბიზნეს უწყვეტობის გეგმა მიმდინარე და შესაბამისი გამოწვევების გათვალისწინებით და სამოქმედო გეგმაში აისახოს პრევენციული აქტივობები.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, გაზარდოს გაცვლით პროგრამებში პერსონალის და სტუდენტების მონაწილეობის შესაძლებლობები და გააძლიეროს კვლევის ინტერნაციონალიზაცია.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს პერსონალის და სტუდენტების ინგლისური ენის კომპეტენციის გაუმჯობესების მექანიზმები.
- რეკომენდებულია, სტუდენტთა კონტინგენტი განისაზღვროს უნივერსიტეტის მიერ დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად და გამყარებული იყოს ხელმისაწვდომი რესურსების რაოდენობრივი ინდიკატორებით, საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების და მობილობის მონაცემების გათვალისწინებით.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა აამაღლოს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ცნობიერება აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების შესახებ.
- რეკომენდებულია, რომ დაწესებულებამ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში ნათლად ჩამოაყალიბოს და დეტალურად აღწეროს სწავლის შედეგების შეფასების პროცესში ჩართული ყველა მხარის ვალდებულებები, როლები და პასუხისმგებლობები, აგრეთვე, შეფასების პროცედურები, ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებთან მიმართებით.
- რეკომენდებულია, რომ გადაიხედოს მართვის პოლიტიკის დოკუმენტი და აღმოიფხვრას წინააღმდეგობა იმ დებულებებს შორის, რომლებიც კატეგორიულად კრძალავს 65 წლის ან უფროსი პირების აკადემიურ და ადმინისტრაციულ თანამდებობებზე დანიშვნას, და იმ დებულებებს შორის, რომლებიც გამონაკლისის სახით უშვებს მსგავს დანიშვნას იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატები აკმაყოფილებენ სტანდარტულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.
- რეკომენდებულია, შიდა ინსტიტუციური საგრანტო პროგრამების დაფინანსების გაზრდა და ლაბორატორიული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

საბჭომ ერთხმად დააკმაყოფილა უნივერსიტეტის შუამდგომლობა აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში 2026 წლის 16 თებერვალს შესვლის თაობაზე.

მეორე საკითხი: სსიპ - შოთა მესხიას სახელობის უგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ ავტორიზაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის საკითხის განხილვა;

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა(ნენ) თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახ ილველ საკითხთან
მიმართებით.
ავტორიზაციის ექსპერტმა, ეკა ლეკაშვილმა დამსწრეებს გააცნო შეფასების პროცესის ძირითადი გარემოებები და რეკომენდაციების შესრულების შესახებ ინფორმაცია. აღნიშნა, რომ 23 შესასრულებელი რეკომენდაციიდან 21 შესრულდა სრულად, ხოლო 2 - მეტწილად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიან თი პოზიცია.
რექტორმა, თეონა ხუფენიამ მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული სამუშაოსთვის. დაადასტურა, რომ უნივერსიტეტი ერთდროულად ტვირთავდა ინფორმაციას ვებ-გვერდზე, ხოლო ეხლა ქრონოლოგიურად ტვირთავს. ვებ-გვერდზე გამოიყო პროფესიული განათლების ნაწილი, გამრავალფეროვნდა და გაძლიერდა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ქეთევან ლატარიამ აღნიშნა, რომ 20-30%-მდე დამთხვევა არის ტექნიკური ფილტრი ადმინისტრაციული წარმოებისთვის. ისეთ დარგებში, როგორიცაა სამართალი და მედიცინა, ხშირია ციტირებებში ლათინური დასახელებები და დამთხვევის მაჩვენებელი მაღალია. 30%-იანი დამთხვევის შემთხვევაში ნაშრომი ეგზავნება კომისიას და პლაგიატი არ უნდა დადასტურდეს. სერგო ჭელიძემ იკითხა, 30% ხომ არ არის დამთხვევის მაღალი მაჩვენებელი. ქეთევან ლატარიამ უპასუხა, რომ ეს მაჩვენებელი სახასიათოა მაგალითად მედიცინის მიმართულებისთვის, სადაც ჭარბობს ლათინური ენა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შ ეკითხვები.
საბჭოს წევრებს არ დაუსვამთ დამატებითი შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა სათათბირო შესვენება.
დაწყების დრო: 13:02
დასრულების დრო: 13:03

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - შოთა მესხიას სახელობის უგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 79[1]-ე მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - შოთა მესხიას სახელობის უგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიში ცნობად იქნეს მიღებული.

მესამე საკითხი: სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მიმართ ავტორიზაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის საკითხის განხილვა;

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა(ნენ) თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დიანა მჭედლიშვილმა დამსწრეებს გააცნო შეფასების პროცესის ძირიადი გარემოებები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიან თი პოზიცია.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნინო ბაქრაძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული სამუშაოსთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შ ეკითხვები.
საბჭოს წევრებს არ დაუსვამთ დამატებითი შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა სათათბირო შესვენება.
დაწყების დრო: 13:05
დასრულების დრო: 13:08

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მიერ ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 79[1]-ე მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მიერ ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიში ცნობად იქნეს მიღებული.

მეოთხე საკითხი: შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიმართ ავტორიზაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
- **არა**

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
- **კი**

თვითაცილება გამოაცხადა სერგო ჭელიძემ. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

ავტორიზაციის დებულების 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომაზე საკითხის განხილვას უხელმძღვანელა საბჭოს დამსწრეთა უმრავლესობით განსაზღვრულმა საბჭოს წევრმა - ლევან მიდოდაშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა(ნენ) თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახ ილველ საკითხთან
მიმართებით.
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ვასილ კიკუტაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებამ დიდი სამუშაო გასწია რეკომენდაციების შესასრულებლად და ამის ყველა მტკიცებულება მოცემულია დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიან თი პოზიცია.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, მარინა გედევანიშვილმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისთვის და დეტალური, სკრუპულოზური შეფასებისთვის. მისი თქმით, ავტორიზაციისას მიღებული რეკომენდაციები უკვე გაწერილი იყო 2025 წლის სამოქმედო გეგმაში. „რეკომენდებულია, დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გაზრდა: უნივერსიტეტისთვის სასარგებლო იქნება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შეფასებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მიდგომის ფორმალიზება, გადაწყვეტილების მიღების პროცესებში გარე პარტნიორების, კურსდამთავრებულების, ინდუსტრიის წარმომადგენლების და საზოგადოების წევრების უფრო სისტემატური ჩართულობით“ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს ეს მექანიზმი შემუშავებული და წარდგენილი აქვს მტკიცებულებად. 2025 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიშში დეტალურად იყო განხილული ყველა განხორციელებული აქტივობა, თუმცა იურიდიულად არ იყო შესაძლებელი მისი წარდგენა. საჭიროებისამებრ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შეუძლია მისი გაზიარება. „რეკომენდებულია, ციფრული მონიტორინგის გაუმჯობესება: დაგეგმილი ავტომატიზებული მონიტორინგის სისტემა უნდა განხორციელდეს როგორც პრიორიტეტი. აღნიშნული სისტემა გააუმჯობესებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების პროგრესის მეთვალყურეობის ეფექტურობას 9 რეალურ დროში, რაც უნივერსიტეტს მისცემს შესაძლებლობას სწრაფად უპასუხოს გამოწვევებს და ისარგებლოს შესაძლებლობებით“ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ გაფორმდა ხელშეკრულება შესაბამის ორგანიზაციასთან და რეკომენდაციის მოთხოვნა შესრულდა. საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ექსპერტების შეფასებით, 2024 წლის ნოემბრიდან 2025 წლის ნოემბრამდე უნივერსიტეტს 9 ახალი მემორანდუმი აქვს გაფორმებული საერთაშორისო მიმართულებით უცხოურ უნივერსიტეტებთან. ასევე, ეთიკის საბჭო შექმნილია და ყველა ინფორმაცია, მათ შორის, ეთიკის საბჭოს დებულება ხელმისაწვდომია. ამაზე იმუშავა სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტმა და ჩართული იყვნენ ხარისხის სამსახური, რექტორი. მე-5, მე-7 რეკომენდაციებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ „სასწავლო პროცესის რეგულირების წესის“ მე-9 მუხლი ძირითადად ეხებოდა მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებს, კლინიკური სწავლების 50%-ის და უფრო მეტის გააცდენასთან მიმართებით, რადგან მედიცინა რეგულირებადი პროფესიაა და საჭიროებს შეზღუდვას. ექსპერტები ითხოვდნენ პროცენტული დაშვების სილაბუსებში გაწერას, თუმცა სჯობია ეს იყოს გაწერილი "სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში" და ხელმისაწვდომი იყოს ყველასთვის. მე-6 რეკომენდაციასთან დაკავშრებით აღნიშნა, რომ 2024-2025 წელს უნივერსიტეტმა ჩაატარა ოთხი კონკურსი და მხოლოდ მედიცინის ფაკულტეტზე შეირჩა 15 პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ პროფესორი, მათგან უნივერსიტეტთან აფილირებულია 12. მე-8 და მე-9 რეკომენდაციებთან დაკავშირებით მოახდინა ციტირება დასკვნიდან: „განვლილი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში უნივერსიტეტს დაწყებული აქვს მცდელობები ინტერნაციონალიზაციის ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით. თუმცა, ამგვარი აქტივობების ერთადერთ მაგალითად აღწერილია სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მიმდინარე საერთაშორისო პროექტი გდანსკის უნივერსიტეტის თანამონაწილეობით“. მე-10 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ექსპერტების თქმითაც კი, კვლევების მიმართულებით პროფესორ-მასწავლებლებს აქვთ უნივერსიტეტის მხრიდან დიდი ფინანსური ხელშეწყობა, დოქტორანტის და პროფესორის ყველა სტატიას, საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობას და აკადემიური პერსონალის სახელმძღვანელოების გამოცემას აფინანსებს უნივერსიტეტი. მოქმედებს საგრანტო კონკურსები, მათ შორის, პრემია „თამარი“ აჯილდოებს გამორჩეულ აკადემიურ პერსონალს და მსგავსი გრანტი ბევრია, რაც ექსპერტებს დასკვნაში დაწვრილებით აქვთ აღწერილი. მარინა გედევანიშვილმა სთხოვა სესილი გოგიბერიძეს მე-9 რეკომენდაციის შეფასებაში ნახსენები - "მხოლოდ ერთი კონფერენციის" შესახებ დამატებითი განმარტების გაკეთება. სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსმა, სესილი გოგიბერიძემ შესრულებულად შეაფასა ყველა

რეკომენდაცია და ხაზი გაუსვა დაზუსტების საჭიროებას, რომ მე-3 და მე-9 რეკომენდაციები იყო მსგავსი და საუბარი ეხებოდა კვლევითი თანამშრომლობას, საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობას და ასევე ფორმალური ინსტიტუციური თანამშრომლობის ჩამოყალიბებას. რამდენიმე თვის წინ უნივერსიტეტმა გაიმარჯვა „ჰორაიზონ ევროპის“ საგრანტო კონკურსში, რომელშიც მონაწილეობს 24 ქვეყანა და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი ინსტიტუციურად თანამშრომლობს მათთან. დამფინანსებელი არის „ევროპის ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ინსტიტუტი“ და დაფინანსება შეადგენს დაახლოებით 3 300 000 ევროს, პროექტი კი გაგრძელდება წელიწადნახევარი. უკვე დაწყებულია სამუშაო შეხვედრები და თანამშრომლობა. უნივერსიტეტმა სერიოზული ნაბიჯები გადადგა სამეცნიერო კუთხით ინსტიტუციური თანამშრომლობის გაძლიერებისკენ. უნივერსიტეტში განისაზღვრა პრიორიტეტული კვლევითი მიმართულებები და მოთხოვნებად განისაზღვრა საერთაშორისო ინსტიტუციური თანამშრომლობა კვლევით ცენტრებსა და უნივერსიტეტებთან. ამგვარად, მე-9 რეკომენდაციის შეფასებაში, სიტყვა „ერთადერთი“ ნამდვილად არ შეესაბამება რეალობას. მარინა გედევანიშვილმა მერვე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ პირველი გზამკვლევი უნივერსიტეტში შეიქმნა 2017 წელს და ამის შემდეგ შეიქმნა კიდევ 2. გზამკვლევი არსებობს როგორც დოქტორანტებისთვის, ისე ხელმძღვანელებისთვის. მისი თქმით, საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 17-19 სექტემბერს, ხოლო უნივერსიტეტს უკვე 2 სექტემბერს ჰქონდა ახალი დებულება გამოქვეყნებული, სადაც გაწერილი იყო პრიორიტეტულ მიმართულებებზე დოქტორანტთა მიღების შესახებ. ასევე, ხაზი გაუსვა ტექნიკურ შეცდომას, რომ სამართლის სადოქტორო პროგრამაში მითითებულია 180 კრედითი, ხოლო უნდა იყოს - 40 კრედიტი, რაც სასწავლო კრედიტების რიცხვს წარმოადგენს. საბჭოს წევრმა, რიმა ბერიაშვილმა დაამატა, რომ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი არის კონსორციუმის წევრი გრაცის უნივერსიტეტთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შ ეკითხვები.
საბჭოს წევრებს არ დაუსვამთ დამატებითი შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა სათათბირო შესვენება.
დაწყების დრო: 13:28
დასრულების დრო: 13:30

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის

დებულების“ 79[1]-ე მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიში ცნობად იქნეს მიღებული.

საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2026 წლის 16 თებერვლის 13:31 საათზე.

ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლეშკაშელი დავითი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს წევრი
მიდოდაშვილი ლევან

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს სხდომის თავმჯდომარე
ჭელიძე სერგო

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა